

შპს „ივერია სერვის“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----3

სრული შემოსავლის ანგარიშგება-----4

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისი-----5

განმარტებითი შენიშვნები-----6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-----8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>1</u>	22 029	44 059
არამატერიალური აქტივები	<u>2</u>	559	769
		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		22 588	44 828
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		6 433	38 523
მოთხოვნები		1162 148	305 479
მარაგები		-	235 115
გადახდილი ავანსები		245	110
		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1168 826	579 227
სულ აქტივები		1191 414	624 055
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1170 242	394 052
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1170 242	394 052
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>3</u>	19 177	183 362
საგადასახადო ვალდებულებები		1 995	46 641
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21 172	230 003
სულ ვალდებულებები		21 172	230 003
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1191 414	624 055

ხელმოწერა

3

შპს ივერია სერვის

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2 018
შემოსავალი რეალიზაციიდან		3627380
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება		(1791289)
ადმინისტრაციული ხარჯი	4	(1 048 826)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(22 239)
საოპერაციო მოგება		765 026
არასაოპერაციო შემოსავლები	5	11 258
არასაოპერაციო ხარჯები	6	(94)
საერთო მოგება		776 190
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		776 190
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		776 190



საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	2018 წელი	სულ
საწესდებო კაპიტალი	0	0
საწყისი გაუნაწილებელი მოგება	394052	394052
გაცემული დივიდენდი	0	0
მიღებული დივიდენდი	0	0
მიმდინარე პერიოდის მოგება	776190	776190
საბოლოო გაუნაწილებელი მოგება	1170242	1170242



1 ძირითადი საშუალებები 2017

ძირითადი საშუალებები	ტექნიკა	ავტოტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მცირეფასიანი ძ/ს	სულ
თვითღირებულება	4882	1185	59444	44636	110147
ცვეთა	-2929	-711	-35667	-26781	-66088
წმინდა საბალანსო ღირებულება	1953	474	23777	17855	<u>44059</u>

ძირითადი საშუალებები 2018

ძირითადი საშუალებები	ტექნიკა	ავტოტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მცირეფასიანი ძ/ს	
თვითღირებულება	4882	1185	59444	44636	110147
შემოსვლა	0	0	0	0	0
გასვლა	-	-	-	-	0
აკუმულირებული ცვეთა	-3906	-948	-47555	-35709	-88118
წმინდა საბალანსო ღირებულება	976	237	11889	8927	22029

2 არამატერიალური აქტივები 2017

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
არამატერიალური აქტივები	1398	1398
შემოსვლა	0	0
ამორტიზაცია	-629	-629
ჯამი	769	769

არამატერიალური აქტივები 2018

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
არამატერიალური აქტივები	1398	1398
შემოსვლა	0	0
ამორტიზაცია	-839	-839
ჯამი	559	559

3 სავაჭრო ვალდებულებები

	2017	2018
იურიდიული პირები	156903	18990
ფიზიკური პირები	26459	187
ჯამი	183362	19177

4 ადმინისტრაციული ხარჯი

	2018
შრომის ანაზღაურება	900253
იჯარის ხარჯი	120745
საკონსულტაციო ხარჯები	7627
საბანკო ხარჯი	1992
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	18209
ჯამი	1048826

5 არასაოპერაციო შემოსავლები

	2018
საჩუქრები	11258
ჯამი	11258

6 არასაოპერაციო ხარჯები

	2018
ჯარიმები	94
ჯამი	94

განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა


შპს „ივერია სერვის“ ს/ნ 404446480 დაფუძნდა 2013 წლის 22 მაისს, საქართველოში მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმო იურიდიული პირების რეესტრში 2013 წლის 22 მაისს, რეგისტრაციის ნომერი #B13051251 მისი ძირითადი საქმიანობაა რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, საკვები პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის შპს ივერია გრუპი ს/ნ 404408556.

კომპანიის იურიდიული მისამართია, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რესპუბლიკის მოედანი.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება არ ყოფილა წარდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასზე გადასვლის შემდგომ, არსებითად არ განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის იმ ტრადიციული მეთოდებისგან, რომელსაც კომპანია იყენებდა გასულ პერიოდებში. შესაბამისად, არსებითი კორექტირებების აუცილებლობის საკითხი წინა პერიოდებზე არ დამდგარა.

საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

3. 

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

დარიცხვის მეთოდი: ძირითადი დაშვებები, რომელზეც დამყარებულია კომპანიის ბურალტრული აღრიცხვა, არის დარიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოვლენებისა და ოპერაციების აღიარებას იმ პერიოდში, როდესაც ოპერაცია მოხდა და არა როცა მოხდა ფულადი სახსრების მიღება/გადახდა.

ფუნქციონირებადი საწარმო: ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს შემდგომი 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში.


შინაარსის ფორმაზე აღმატებულება: ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაცია აისახება შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის და არა მხოლოდ მისი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტები:

1. აქტივები
2. ვალდებულებები
3. კაპიტალი
4. შემოსავალი
5. ხარჯი

აქტივები - არის წარსულში მომხდარი მოვლენებით მიღებული რესურსი, რომლისგანაც კომპანია მომავალში მოელის ეკონომიკურ სარგებელს და რომელსაც იგი აკონტროლებს.

ვალდებულებები - წარმოიშვა კომპანიის წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და არსებობს მოცემულ მომენტში. ის მომავალში გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინებას.



კაპიტალი - არის კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება მთლიანი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

შემოსავალი - არის ეკონომიკური სარგებლის ზრდა, რაც გამოიხატება აქტივების ზრდით, ან ვალდებულებების შემცირებით, ამასთან რაც ზრდის კაპიტალს, მაგრამ არ არის დაკავშირებული დამფუძნებლის შენატანებთან.

ხარჯები - არის ეკონომიკური სარგებლის შემცირება აქტივების გასვლის ან შემცირების ფორმით; ან ვალდებულებათა გაზრდა, რაც გამოიხატება კაპიტალის იმ ნაწილში შემცირებით, რომელიც არ უკავშირდება აქციონერთა შენატანებს.

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. თუ არსებობს მოლოდინი, რომ ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება კომპიუტერული პროგრამები რომელთა ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანდ იმისა, რომ აღნიშნული აქტივი გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შედარდება მის საბალანსო ღირებულებას და თუ ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო სხვაობა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით, ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ, საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებას და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება და კომპანიის ფულად ერთეულში და საკურსო სხვაობით წარმოქნილი შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ს შესაბამისად

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას შენიშვნებით,
2. საქმიანობის შედეგების შეფასებას
3. საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას

დირექტორი

პაატა ბურჯალიანი